ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2271280

ნომერი: AR1352207

თარიღი : 27.10.2015

გაცემის თარიღი : 30.10.2015

გაცნობის თარიღი : 02.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიკვინია პ/ნ 61003008000
- ბათუმი თამარ მეფის დას. N 5 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს "კავკასუს ონლაინი" კოდი: 211380833

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. ინტერაქტიულ რუკაზე პოლიგონი მონიშნულია #01.00.684 ხაზოვანი ნაგებობის გავრცელების არეალში და არა AR1352207 განაცხადით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ისარგებლეთ რუკის ცვლილების ღილაკით და ინტერაქტიულ რუკაზე პოლიგონი მოინიშნოს უშუალოდ საპროექტო არეალში (კავსაძის ქუჩაზე, #63 ნუმერაციით განსაზღვრულ ჭაზე).
2. გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში). თქვენს შემთხვევაში, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს "კავკასუს ონლაინი", რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის ნიკოლოზ ჭიაურელი, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ გიორგი კვიკვინიამ, საჭიროა "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს მესაკუთრის ნიკოლოზ ჭიაურელის მიერ გაცემული მინდობილობა თქვენს სახელზე ან შესაძლებელია მოქ. ნიკოლოზ ჭიაურელი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.